საექსპერტო დასკვნა

ანგარიშზე „ქ. თბილისში, 26 მაისის სახელობის მოედნის №1-ში შპს „მორკინალი“-ს ტერიტორიაზე მრავალსართულიანი კომერციული ცენტრის პროექტი“.

საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა

შ.პ.ს. „ალიზი“-ს ხელმძღვანელობის თხოვნით ჩვენს მიერ 2014 წლის მარტში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, 26 მაისის სახელობის მოედნის №1-ში შპს „მორკინალი“-ს ტერიტორიაზე მრავალსართულიანი კომერციული ცენტრის მშენებლობისათვის გამოყოფილ მოედანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, 26 მაისის სახელობის მოედნის №1-ში შპს „მორკინალი“-ს ტერიტორიაზე მრავალსართულიანი კომერციული ცენტრის მშენებლობისათვის გამოყოფილი მოედანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შეასრულა შ.პ.ს „გეოგეგმა“-ს გეოლოგიურმა ჯგუფმა 2014 წლის იანვარში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი ინჟ. გეოლოგი მ. ბაბილოძე. მათ ლაბორატორიაშია შესრულებული გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებათა გამოკვლევა და აგრეთვე გრუნტის წყლის ქიმიურ შედგენილობაზე ანალიზები. რაც შეეხება კლდოვანი ქანების გრუნტების თვისებებს, იგი გამოკვლეული იქნა საქართველოს სამთო საქმის ინსტიტუტში.

საექსპერტოდ გადმოცემულია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე---------- ***8*** გვ.
2. ტექნიკური დავალება---------- ***1*** გვ.
3. მიწერილობა ---------- ***1*** გვ.
4. ცხრილი გრუნტების თვისებებზე---------- ***1*** გვ.

5. გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზის ცხრილი ---------- 3 გვ.
6. კლდოვანი ქანების ლაბორატორიული გამოკვლევა ---------- 3 გვ.
7. ქანების სიმტკიცის სტატისტიკური დამუშავება ---------- 2 გვ.
8. მოედნის ტოპოგეგმა ---------- 1 ფურც
9. ჭაბურღილების ლითოლოგიური სვეტები ---------- 2 ფურც
10. მოედნის გეოლოგიური ჭრილები---------- 2 ფურც.

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს 24 სართულიანი სახლი. კონსტრუქციულად იგი გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში, შევსება იქნება აგურით ან ბეტონის წვრილი ბლოკებით.

ანაგრიშში მოცემულია საკვლევი ტერიტორიის ზოგადი გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობები.

მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად გაყვანილი იქნა ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი დაზგით ოთხი ჭაბურღილი. ასევე მეზობლად მდებარე სახლების საძირკველი გახსნილი იქნა შურფების საშუალებით. ჭაბურღილების საერთო სიგრძემ შეადგინა 35.5 მეტრი. სამთო გამონამუშევრებიდან აღებული იქნა ნიმუშები გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური მაჩვენებლების განსაზღვრისათვის.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის შედეგად, საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა 1 – ნაყარი
2. ფენა 2 – კენჭნარი
3. ფენა 3 – ძლიერ გამოფიტული გათიხებული სუბარგილიტები და ქვიშაქვები
4. ფენა 4 – გამოფიტული სუბარგილიტები და ქვიშაქვები
5. ფენა 4 – სუსტად გამოფიტული სუბარგილიტები და ქვიშაქვები

ანგარიშში მოცემულია თითოეული ფენის დახასიათება და თვისებები. მოცემულია საანგარიშო მნიშვნელობანი. კლდოვანი გრუნტების სიმტკიცის მაჩვენებლები დამუშავებულია სტატისტიკური მეთოდით. მიღებული შედეგების

ანალიზის საფუძველზე ავტორი წინადადებას იძლევა შენობა დაფუძნებული იქნას კლდოვან ქანებზე, რასაც ვეთანხმებით.

მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი დაფიქსირდა ზედაპირიდან 2.4-4.2 მ.-ზე. წყალი აგრესიულია ბეტონის ნაკეთობის მიმართ.

დ ა ს კ ვ ნ ა

შესრულებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები ქ. თბილისში 26 მაისის სახელობის მოედნის №1-ში მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ მოედანზე აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების მოთხოვნებს. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. ამრიგად წარმოდგენილი ანგარიში შეიძლება დაედოს მშენებლობის პროექტს საფუძვლად საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების
მიმართულების ხელმძღვანელი,
ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი /გ. ჭოხონელიძე/